

დანართი

შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ
დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ (ბრძ. №09/23.01.2018.)

სასწავლო პროცესის განხორციელების

შეფასების სისტემა

2018

შესავალი

კოლექტი მუდმივად ზრუნავს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებაზე. ამისათვის იგი ემნის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემას, შეიმუშავებს სასწავლო პროცესებთან დაკავშირებულ სტანდარტებსა და მოთხოვნებს და სისტემატიურად აფასებს სასწავლო პროცესის ხარისხს.

შეფასების სისტემის შექმნაში აქტიურად არიან ჩართულნი კოლექტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პედაგოგიური საბჭო და სხვა შესაბამისი სამსახურები.

კოლექტი ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს შესაბამის სამსახურებთან (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი) ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი რეალიზების წესების ჩამოყალიბების მიზნით.

ამ დოკუმენტის მიზანია ხელი შეუწყოს კოლექტს საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფილ, ხარისხიან განხორციელებაში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ეფექტურად მართვაში, უზრუნველყოს კოლექტში ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო.

სასწავლო პროცესის განხორციელების შეფასების სისტემა

სასწავლო პროცესის შეფასების ძირითადი ამოცანებია:

ა) დაადგინოს, რამდენად ადეკვატურად მიმდინარეობს სწავლა-სწავლების პროცესი;

ბ) გამოავლინოს პრობლემები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები.

სასწავლო პროცესის შეფასებისას მნიშვნელოვანია პროცესში მონაწილე ყველა მხარის - პროფესიული განათლების მასწავლებლების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, დირექციისა და პროფესიული სტუდენტების დამოკიდებულების შესწავლა და მათი ჩართულობა. ამისათვის კოლექტი მიმართავს ანკეტური გამოკითხვის მეთოდს (იხ. დანართი1. და დანართი2.). კითხვარების შედგენა, უშუალოდ გამოკითხვის წარმოება, შედეგების რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს.

ასევე მნიშვნელოვანია სტატისტიკური მონაცემების რეგულარული დამუშავება სხვადასხვა სასწავლო წლების შედეგების შედარების მიზნით, რათა ნათლად გამოჩნდეს სწავლებისა თუ შეფასების სფეროში განხორციელებული ცვლილებების ეფექტი ან მისი არარსებობა.

სასწავლო პროცესის უმთავრეს შედეგს და შესაბამისად, მის ყველაზე უფრო ფართოდ აღიარებულ ინდიკატორს პროფესიული სტუდენტების აკადემიური მოსწრება წარმოადგენს.

პროფესიული სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი ხდება შემდეგი სახის ინფორმაციის მოპოვება:

1. საგანმანათლებლო პროგრამისა და ცალკეული კურსების სირთულის ხარისხის შეფასება;
2. შეფასების გამოყენებული მეთოდების ადეკვატურობა;
3. აკადემიური პერსონალის პედაგოგიური თვისებები;
4. პროფესიული სტუდენტების მომზადების დონე.

ამგვარი ანალიზი კოლეჯში რეგულარულად ტარდება თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რადგანაც ის უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას გვანვდის საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მუშაობისა და პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შესახებ.

პროფესიების კვლევა

პროფესიების კვლევის მიზანია ახალგაზრდა თაობის ადამიანთათვის საინტერესო და მიმზიდველი პროფესიების დადგენა. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით კოლეჯი მიიღებს გადაწყვეტილებას დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ (იხ. დანართი 3).

დანართი 1.

პროფესიული განათლების მასწავლებლისა და სასწავლო კურსის შეფასების ფორმა

სასწავლო კურსის სახელი -----

პროფესიული განათლების მასწავლებელი -----

ამ გამოკითხვის მიზანია პროფესიული განათლების მასწავლებლისა და მისი სასწავლო კურსის შეფასება.

კითხვარის ბოლო ნაწილი შესაძლებლობას იძლევა წერილობით შეათვალიოთ პროფესიული განათლების მასწავლებელი და მისი სასწავლო კურსები.

გამოკითხვა ანონიმურია და პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო კურსის დასრულებამდე ვერ გაეცნობა გამოკითხვის შედეგებს.

გთხოვთ, იყოთ მაქსიმალურად გულწრფელი. თქვენი პასუხები დაგვეხმარება სამომავლოდ გავაუმჯობესოთ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

გთხოვთ თითოეული კითხვა შეათვალიოთ 3 ბალიან სკალაზე, სადაც:

1- ნიშნავს ვეთანხმები, 2- ნაწილობრივ ვეთანხმები, 3-არ ვეთანხმები

1. პროფესიული განათლების მასწავლებელი ყოველთვის დროზე მოდის მეცადინეობებსა და დათქმულ შეხვედრებზე

1 2 3

2. პროფესიული განათლების მასწავლებელი კარგადაა მომზადებული თითოეული მეცადინეობისთვის

1 2 3

3. პროფესიული განათლების მასწავლებელი იყენებს მაგალითებს და ილუსტრაციებს მასალის ნათლად გადმოსაცემად

1 2 3

4. პროფესიული განათლების მასწავლებელი საინტერესოდ ხსნის მასალას

1 2 3

5. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეკითხვებს პასუხობს ამომწურავად და გასაგებად

1 2 3

6. პროფესიული განათლების მასწავლებელი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა დარწმუნდეს, რომ პროფესიულ სტუდენტებს ესმით სასწავლო კურსის ძირითადი იდეები

1 2 3

7. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა დასვან კითხვები და მონაწილეობა მიიღონ დისკუსიებში

1 2 3

8. პროფესიული განათლების მასწავლებელი უბიძგებს პროფესიულ სტუდენტებს, რომ იაზროვნონ კრიტიკულად და ანალიტიკურად

1 2 3

9. პროფესიული განათლების მასწავლებელი მზადაა კლასგარეშე კონსულტაციები ჩაატაროს პროფესიულ სტუდენტებთან

1 2 3

10. პროფესიულმა სტუდენტებმა იციან, რას უნდა მოელოდნენ მეცადინეობისგან, პროფესიული განათლების მასწავლებელი წინასწარ აცნობებს განსახილველ თემებს

1 2 3

11. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ დასახელებული სასწავლო მასალები (სახელმძღვანელო, დამხმარე მასალები) სრულიად შეესაბამება კურსს

1 2 3

12. დავალებები სირთულისა და მოცულობის მიხედვით შეესაბამება პროფესიული სტუდენტის შესაძლებლობებს

1 2 3

13. სასწავლო კურსის ხარისხს ვაფასებ როგორც

1. ძალიან კარგი 2. კარგი 3. საშუალო 4. ცუდი

14. რა თვისებების გამო მიგაჩნიათ თქვენი მასწავლებელი კარგ პროფესიულ მასწავლებლად?

15. რა არ მოგწონთ თქვენ პროფესიულ განათლების მასწავლებელში?

16. რას შეცვლიდით სასწავლო კურსის შინაარსში?

თარიღი - - - - -

მადლობას მოგახსენებთ კვლევაში მონაწილეობისთვის!

დანართი 2.

გთხოვთ, პასუხი გასცეთ ქვემოთ მოყვანილ კითხვებს. მათზე დაყრდნობით დაიგეგმება კოლეჯის მომავალი მუშაობა. *გამოკითხვა ანონიმურია.*

მიუთითეთ სპეციალობა:

1. ხშირად აცდენთ მეცადინეობებს?

1. კი

2. არა

2. თუ კი, რატომ? (შეგიძლიათ შემოხაზოთ რამდენიმე პასუხი)

1. დრო არ მანყობს.
2. შინაარსობრივად ვერ მივყვები მეცადინეობას, რთული თემების გარჩევა ჩემთვის ძალიან სწრაფად ხდება.
3. ჩემი ამჟამინდელი ცოდნა და სასკოლო განათლება არ არის საკმარისი მეცადინეობებზე განხილული თეორიული მასალის გასაგებად.
4. ჩემთვის მეცადინეობები საკმაოდ ხმაურიანია.
5. მეცადინეობისას განხილული თემები ჩემთვის უინტერესოა.
6. ჩემი აზრით, მეცადინეობებზე განხილული თემები ჩემს პროფესიულ განვითარებას ხელს ვერ შეუწყობს.
7. სხვა -----

3. აცდენდნენ თუ არა პროფესიული განათლების მასწავლებლები მეცადინეობებს (აღნიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი):

1. საერთოდ არა
2. კი, იშვიათად
3. კი, ხშირად

4. გაკმაყოფილებთ თუ არა სწავლის პირობები (პირველი პასუხის არჩევის შემთხვევაში გამოტოვეთ მეხუთე კითხვა)?

1. საესებით მაკმაყოფილებს (ამ პასუხის არჩევის შემთხვევაში გამოტოვეთ მომდევნო შეკითხვა)

2. ნაწილობრივ მაკმაყოფილებს

3. არ მაკმაყოფილებს

5. რა არის სწავლის პირობებით უკმაყოფილების მიზეზი (შეგიძლია შემოხაზოთ რამდენიმე პასუხი.)

1. აუდიტორიაში საკმარისი ადგილი არ არის

2. გათბობა არ არის

3. მერხებია დამტვრეული

4. დაფა არ არის

5. სინათლე არ არის

6. სხვა: _____

6. გიშლით თუ არა სწავლაში ხელს მეხუთე კითხვაში ჩამოთვლილი სირთულეები? (აღნიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

1. დიას, ძალიან

2. არც ისე

3. თითქმის არა

7. გაკმაყოფილებთ თუ არა სახელმძღვანელოებთან დაკავშირებული სიტუაცია?

1. ყველა სახელმძღვანელო შეიძლება იყიდო

2. ზოგი სახელმძღვანელო იყიდება, ზოგიც ბიბლიოთეკაშია

3. ზოგი სახელმძღვანელო საერთოდ არ იშოვება და გვინებს მათი გადაქსეროქსება

4. სახელმძღვანელოები ქართულად არ არის, ხოლო სხვა ენაზე კითხვა გვიჭირს

5. პროფესიული განათლების მასწავლებლები ძალიან ბევრ სახელმძღვანელოს გვთხოვენ ერთი კურსის ფარგლებში

6. სხვა: _____

8. იცით თუ არა, რას ნიშნავს კრედიტი და როგორ უნდა მიიღოთ ის? (აღნიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

1. ვიცი კარგად

2. ვიცი ბუნდოვნად
3. მხოლოდ მსმენია
4. არ ვიცი

9. წარმოგიდგინათ თუ არა პროფესიული განათლების მასწავლებელმა კურსის დაწყებისთანავე სილაბუსი? (აღნიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

1. დიახ, ყველამ
2. დიახ, დაახლოებით 3/4-მა
3. დიახ, დაახლოებით ნახევარმა
4. დიახ, დაახლოებით 1/4-მა
5. დიახ, მხოლოდ ერთი-ორმა
6. არაფერ

(თუ ამ კითხვაზე პასუხად შემოხაზავთ 6-ს, მაშინ 10-ს არ ავსებთ)

10. თუ წარმოგიდგინათ, დაგეხმარათ თუ არა ეს სწავლების ორგანიზებაში? (აღნიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

1. დიახ, ძალიან
2. დიახ, საშუალოდ
3. დიახ, ოღონდ უმნიშვნელოდ
4. საერთოდ არ დამხმარებია
5. საჭიროდ არ ვთვლი სილაბუსების დარიგებას

11. რას ფიქრობთ შეფასების 100 ქულიან სისტემაზე? (შეგიძლიათ შემოხაზოთ რამდენიმე პასუხი)

1. კარგია, რადგან უკეთ აჩვენებს განსხვავებებს პროფესიულ სტუდენტებს შორის
2. კარგია ის, რომ მთელი სემესტრის მანძილზე სწავლას აფასებს
3. შეფასების ახალი სისტემის შემოღებით არაფერი შეცვლილა
4. ცუდია, რადგან მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს და არ ასახავს რეალურ ცოდნას
5. სხვა: _____

12. კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი ძირითადი სპეციალობით? (აღნიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

1. საფასებით კმაყოფილი ვარ
2. ნაწილობრივ, მაგრამ არ შევცვლიდი
2. არა, რომ შემეძლოს, შევცვლიდი არჩევანს
3. სხვა: _____

13. საერთოდ, როგორ შეაფასებდით თქვენს არჩევანს, გესწავლათ საზოგადოებრივ კოლეჯ ბარაკონში? (აღნიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

1. მთლიანად გამიმართლდა
2. მთლიანად ნაწილობრივ გამიმართლდა, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ
3. უკმაყოფილო ვარ, მთლიანად თითქმის არ გამიმართლდა
4. საერთოდ არ უნდა ჩამეხარებინა ამ კოლეჯში

მადლობას მოგახსენებთ კვლევაში მონაწილეობისთვის!



დანართი 3

პროფესიების კვლევა ხორციელდება შპს ბარაკონის მიერ, რომლის მიზანია ახალგაზრდა თაობის ადამიანთათვის საინტერესო და მიმზიდველი პროფესიების დადგენა. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით კოლეჯი მიიღებს გადაწყვეტილებას დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ.

თითოეული კვლევის მონაწილისგან მიღებული ინფორმაცია იქნება კონფიდენციალური და ანონიმური.

A1. მიუთითეთ სქესი

1. მდედრობითი
2. მამრობითი

A2. მიუთითეთ ასაკი

1. 15-20 წელი
2. 21-25 წელი
3. 26-30 წელი
4. 31-35 წელი

A3. მიუთითეთ განათლება

1. საბაზო განათლება
2. სრული ზოგადი განათლება
3. პროფესიული განათლება
4. უმაღლესი განათლება

B1. ვისი ინიციატივით გადაწყვიტეთ სწავლის გაგრძელება პროფესიულ სასწავლებელში? *(შეგიძლიათ მიუთითოთ რამდენიმე პასუხი)*

1. თქვენი ინიციატივით

2. ოჯახის წევრების ინიციატივით

3. მეგობრების ინიციატივით

B2. რომელი გზით მიიღეთ ინფორმაცია კოლეგებისა და პროფესიული პროგრამების შესახებ? *(შეგიძლიათ მიუთითოთ რამდენიმე პასუხი)*

1. ინტერნეტი

2. მეტროში განთავსებული სარეკლამო ბანერი

3. ტელევიზია

4. სოციალური ქსელი/Facebook

5. სხვა (მიუთითეთ)

B3. დაასახელეთ მიზეზი, რის გამო გადანწყვიტეთ შპს ბარაკონში სწავლა? *(შეგიძლიათ მიუთითოთ რამდენიმე პასუხი)*

1. დაბალი გადასახადი სხვა კოლეგებთან შედარებით

2. სწავლის საფასურის ეტაპობრივი გადახდა

3. ტერიტორიული მდებარეობა

4. მეგობრის რეკომენდაცია

5. ნათესავის რეკომენდაცია

6. სწავლების ხარისხი

7. სხვა (მიუთითეთ)

B4. ჩამოთვლილი პროფესიებიდან რომელზე ისურვებდით მომავალში სწავლას? *(შეგიძლიათ მიუთითოთ რამდენიმე პასუხი)*

1. მიღება-განთავსების სპეციალისტი

2. კონსულტანტ-გამყიდველი

3. შემფასებელი/აუდიტი

4. საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი

5. საფინანსო სერვისები

6. სამგანზომილებიანი მოდელირების და ტექსტურირების სპეციალისტი
 7. შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები
 8. საოფისე საქმისა და ღონისძიებების ორგანიზება
 9. ბულალტრული აღრიცხვა
 10. ვებ პროგრამისტი
 11. ვებ ინტერფეისის დიზაინერი
 12. სხვა (მიუთითეთ პროგრამა, რომელიც ჩვენ კოლეჯში არ ისწავლება)
-
-

B5. რატომ ისურვებდით თქვენ მიერ შერჩეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლას? დაასაბუთეთ *(უპასუხეთ B4 კითხვიდან გამომდინარე)*

B6. რომელ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სურთ სწავლა თქვენ მეგობრებს, ნათესავებს?

1. მიუთითეთ პროგრამა
-

2. არ ვიცი

B7. ურჩევდით თუ არა თქვენს მეგობრებს, ნათესავებს ჩვენ კოლეჯში სწავლას?

1. დიახ *(გადადით B7.1 კითხვაზე)*
2. არა *(გადადით B7.2 კითხვაზე)*

B7.1 რატომ ურჩევდით თქვენს მეგობრებს, ნათესავებს ჩვენს კოლეჯში სწავლას?

B7.2 რატომ არ ურჩევდით თქვენს მეგობრებს, ნათესავებს ჩვენს კოლეჯში სწავლას?

B8. რა რეკომენდაციებს მისცემდით კოლეჯის ადმინისტრაციას?

თარიღი -----

მადლობას მოგახსენებთ კვლევაში მონაწილეობისთვის!